საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/101 " 17 " ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თ. სიხარულიძის გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 26 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 1 ივლისს მიღებულ იქნა გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თეიმურაზ სიხარულიძის განცხადება. 2020 წლის 17 ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მოსამართლეები: იოსებ აბრამიძე, ნუნუ ნემსიწვერიძე, თეიმურაზ სიხარულიძე და ნანა ჩალათაშვილი. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს თეიმურაზ სიხარულიძის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში თეიმურაზ სიხარულიძეს აქვს კარგი ავტორიტეტი და ამასთან, მართვის გამოცდილებაც, ვინაიდან იგი 2016-2019 წლებში იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თეიმურაზ სიხარულიძე დაინიშნოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ, 2020 წლის 20 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი